სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 465

დამატების № 83

პარასკევი, 25 დეკემბერი 1915 წ.

ღვთისმშობელი, — ვან დიკისა.

სიყვარული სიკვდილზე უძლიერესია

ნოველა დ. მერეჟკოვსკისა.

(შემდეგი *)

ყველა ჩამოთვლილ ღირსების მიუხედავად ჯინევრა მაინც უარს ამბობდა აგოლანტის ცოლობაზე და ამიტომ ძალაუნებურად აგვიანებდნენ ჯვრისწერას. როდესაც უკანასკნელი და გადაჭრილი პასუხი მოითხოვა მათეომ, ყველას განსაცვიფრებლად ჯინევრამ მესერ ანტონიო დერონდინელლი დაასახელა თვის საქმროდ, რომელიც სულითა და გულით მიყვარსო. ის იყო ახალგაზდა, ხელმოკლე მექანდაკე, რომელსაც სულ რამდენიმე მოწაფე ჰყავდა და Ponte Vecchio-ს ვიწრო ქუჩაზე ჰქონდა „ბოტტეგა“ ანუ სახელოსნო. ანტონიომ ჯინევრა რომ გაიცნო, მეტად მოხიბლა მისმა სილამაზემ და რამდენიმე თვის წინად სთხოვა მონნა ურსულას, ნება მომეცით, რომ თქვენი ქალის ქანდაკება გავაკეთო ერთი საკმაოდ მდიდარ მონასტრის წმ. მოწამის ბარბალეს ხატისათვისაო. მონნა ურსულამ უარი ველარ გაუბედა მექანდაკეს ასეთ კეთილშობილურ საქმეში და მუშაობის დროს ხელოვანს შეუყვარდა თვისი მშვენიერი ნიმუში, ვით ოდესღაც პიგმალიონს—გალათეია. შემდეგშიც ხშირად ჰხვდებოდნენ ერთმანეთს სამოქალაქო დღეობებსა და ზამთრის საღამოებზე, რომლებზეც სიამოვნებით მიიწვევდნენ ხოლმე ჯინევრას, ვით საღამოს დამამშვენებელს თვალს.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 82.

როდესაც მოკრძალებით და მორიდებით აცნობა მათეოს მონნა ურსულამ, რომ ჯინევრას ჰყოლია კიდეც საქმრო და ანტონიო დერონდინელლი დაასახელა, მატყლის მრეწველი აენთო, აილეწა, მაგრამ მაინც დამშვიდებული კილოთი მიუგო მონნა ურსულას:

— მადონნა, საკუთარი ყურებით რომ არ გამეგონა, რის თქმაც ინებეთ ეხლა, — არასოდეს დავიჯერებდი, რომ თქვენისთანა სათნო და ჭკვიანი მანდილოსანი ყურადღებას აქცევს გამოუცდელი ბავშვის ქარაფშუტობას. დღეს არ ვიცი და ჩემ დროს კი კრინტსაც ვერ დასძრავდნენ გასათხოვარი ქალები საქმროს ამორჩევაზე და ყველაფერში მამას ან მზრუნველს ემორჩილებოდნენ. დაუფიქრდით კარგად, თუ ვინ არის მესერ ანტონიო, რომელიც ძმისწულს უსურვებია საქმროდ? ნუ თუ არ იცით, რომ მექანდაკე, მხატვარი, პოეტი, მსახიობი და ქუჩის მომღერალი ეს ისეთი ხალხია, რომელსაც არ შეუძლიან რაიმე პატივსადებ და სასარგებლო საქმეს მოჰკიდოს ხელი. მაგათთანა ქარაფშუტა და არასაიმედო ხალხი მთელ დუნიაზე არ მოიპოვება: ლოთი, გარყვნილი, ზარმაცი, ღვთის მგმობელი, ბილწი, საკუთარი და სხვისა ქონების დაუზოგავი მფლანგველი. პირადად მესერ ანტონიოს რაც შეეხება, რასაკვირველია, თქვენც უნდა გსმენოდათ, რასაც მთელ ფლორენციაში ლაპარაკობენ, და მეც მხოლოდ ის ვიცი, რაც სხვა მრავალმა და ამიტომ მოგაგონებთ ამ ჭაბუკის ერთ ახირებულ ჩვეულებას, — ქერში ჭახრაკზე მრგვალი კალათი რომ ჩამოუკიდია. იმ კალათში აგროვებს რასაც შოულობს და ყველა, ვინც კი მოისურვებს, მოწაფე იქნება მისი თუ სხვა ნაცნობი, შეუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია მიბრძანდეს, ჩამოუშვას კალათი პატრონის დაუკითხავად და ამოიღოს რამდენიც სურს სპილენძის, ვერცხლის თუ ოქროს ფული. ნუ თუ გგონიათ, მადონნა, რომ შეპირებულ მზითევს მაგისთანა სულელს ჩავუგდებ ხელში? ეს კიდევ არაფერი: იცით თუ არა, რომ მესერ ანტონიო ეშმაკის მოციქულობას, ეპიკურელთა ფილოსოფიის უსჯულოებას მიმდგომია, ეკლესიაში არ დაიარება, დასცინის წმ. საიდუმლოთ და არც ღმერთი სწამს? კეთილი ხალხი ამბობს, რომ მოწიწებით თაყვანსა სცემს კერპთმსახურთა ღმერთების მარმარილოს ნამსხვრევებს, მცთუნებელთა ღმერთებს, რომელთაც მიწაში დაფლულთ ჰპოულობენ, წმ ნაწილთა და წმინდანთა სასწაულმომქმედ ხატებს კი სასაცილოდ იგდებს. სხვებისგანაც მსმენია, რომელნიც აგრედვე ნდობის ღირსნი არიან, რომ მოწაფეთა დახმარებით თვისსავე სახელოსნოში ღამ-ღამობით მკვდრებსა სჭრის, და დიდ ფასად ჰყიდულობს საავადმყოფოთა დარაჯებისგან, რათა, როგორც თვითონ ამბობს, შეისწავლოს ანატომია ადამიანისა, სხეულის აგებულება და გამოიწაფოს ხელოვნებაში, ნამდვილად კი ის მიზანი აქვს, რომ ჩვენდა დაუძინებელ მტერსსატანას ასიამოვნოს. თუ არ თვალთმაქცობით, ჯადოთი და თილისმით სხვა, აბა, რით მოხიბლავდა ის მწვალებელი თქვენი უმანკო ასულის გულს?..

ასეთი და მგზავსი ოინბაზობით დააშინა მათეომ მონნა ურსულა. როდესაც ჯინევრას აუწყა მშობელმა მათეოს აზრი: თუ უარს ეტყვი მესერ ფრანჩესკო დელიი აგოლანტის, ბიძია აღარ ამოგვიჩენს ყოველთვიურ დახმარებას და სიღატაკე მოგველისო, — მწუხარებით აღსავსე ქალი დაემორჩილა ბედს და დაჰყვა ბიძიას ნებას.

ღვთისმშობელი, რაფაელისა.

ამ წელს დიდი უბედურება დაატყდა თავს ფლორენციას, რომელიც მრავალმა ვარსკვლავი, მრიცხველმა ადრევე იწინასწარმეტყველა: ზოლი ძლიერ მიუახლოვდა მარიხს, ეს კი სიკეთეს არ უქადის ხალხსა. აღმოსავლეთიდან დაბრუნებულმა ზოგიერთ სოვდაგარმა ინდოეთის ხალიჩებთან ერთად შავი ჭირიც შემოიტანა ფლორენციაში. დიადი ლიტანიები მოაწყვეს: ხატებსა და ჯვრებს დააბრძანებდნენ ქუჩებში; ეპისკოპოსის წინამძღოლობით გამოასვენეს იმპრუნეტის ღვთისმშობლის სასწაულთმომქმედი ხატი. გამოსცეს ახალი კანონები დ აკრძალეს სასტიკად ქალაქის საზღვრებში სიბინძურის დაყრა, მდ. არნოს მოწა"ლვა დაბახანებიდან დ საყასბოებიდან გადაყრილი უ უფთაობით; ზომები მიიღეს და სწრაფად ანცალკევებდნენ ავადმყოფთ კარგადმყოფებისაგან. ჯარიმისა, ციხეში დატუსაღების და ზოგიერთ შემთხვევაში, სიკვდილით დასჯის შიშითაც აღკრძალული იყო მიცვალებულის ერთ დღეზე მეტის შენახვა სახლში—დღისით გარდაცვლილის მზის ჩასვლამდე,—ღამით კი—მზის ამოსვლამდე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნათესავები დაამტკიცებდნენ, რომ ავადმყოფი სხვა სნეულებით გარდაიცვალა და არა შავი ჭირისაგან. განსაკუთრებული ზედამხედველნი დადიოდნენ ქალაქში, რომელნიც ისეთი უფლებით იყვნენ აღჭურვილნი, რომ რა დროც უნდა ყოფილიყო, შევიდოდნენ განურჩევლად ყველას ოჯახში, გასჩხრეკდნენ, ხომ არაა ავადმყოფი ან მიცვალებული. ყოველ ქუჩაზე შეხვდებოდა კაცი გაფისულ ურმებს, რომელთაც შავით მოსილნი და ნიღაბაფარებულნი კაცები მისდევდნენ გრძელი შუბით დ ჩანგლით ხელში, რათა მკვდარი ისე დაედვათ ურემზე, რომ თვითონ არ შეყროდათ სე-

ღვთისმშობელი, მურილლოსი.



ღვთისმშობელი, რუბენსისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის ასპარეზი



მდ. ჭოროხის ხეობა. ხიდი მდ. ჭოროხზე.

ნი. ხმები დადიოდა, ეს „შავი ეშმაკნი“ მომაკვდავებსაც კი შეუბრალებლად მიაქანებდნენ ურმით, რათა ზედმეტი შრომა არ დასჭირებოდათ ხელმეორედ მოსვლისთვის უკვე მიცვალებულის წასაღებად. ჭირმა ზაფხულის ბოლოში იჩინა თავი და თითქმის ზამთრის დასაწყისადმე გასტანა და მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, არა სცხრებოდა. ამიტომ ცოტად თუ ბევრად ქონებრივად უზრუნველყოფილნი, რომელთაც არავითარი განსაკუთრებული გარემოება არ აბრკოლებდა, საჩქაროდ სტოვებდნენ ფლორენციასა, ქალაქ გარედ სახლდებოდნენ, სადაც წმინდა და სუფთა ჰაერი იყო.

ბიძია მათეოს ყველიფრის ეშინოდა და არც დაიმედებული იყო, რომ დიდხანს გასტანდა დისწულის მორჩილება და ამიტომ აჩქარებდა ჯვრისწერას, მალე უნდა წახვიდეთ აქედანო. მესერ ფრანჩესკო დელიი აგოლანტის გადაწყვეტილი აქვს გახიზნოს ქალაქიდან ჯინევრა და მისი დედა და ჯვრისწერის შემდეგ რამდენიმე ხნით თვითონაც მიდის მონტე ალბანოს აგარაკზეო.

ასე სურდა მესერ მათეოს და ასეც დაბოლოვდა. დანიშნეს ჯვრისწერის დღე და დროს შესაფერად, უბრალოდ იქორწინეს. გვირგვინ ქვეშ ძლიერ ფერმკრთალი მოსჩანდა ჯინევრა, და საშინელ სიმშვიდე იყო აღბეჭდილი მის სახეზე. მაგრამ ბიძია დაიმედებული იყო, რომ ქალის ასეთი მორცხვობაც ჩქარა გაივლიდა და მესერ ფრანჩესკო დაიმსახურებდა ახალგაზდა მეუღლის სიყვარულს. არ გამართლდა მისი იმედები. როდესაც ეკლესიიდან გამოვიდა ახლად ჯვარდაწერილი ჯინევრა და ქმრის ოჯახში შესდგა ფეხი, უცებ გული შეუწუხდა და უგრძნობლად დაეცა. სცადეს მობრუნება, მაგრამ თვალებს არ ახლდა ავადმყოფი, გულისცემა უსუსტდებოდა, მომაკვდავის ფერი დაედვა, ხელფეხი გაუცივდა და, როდესაც ექიმებსაც მოუწოდეს (ექიმებს კი იშვიათად მიმართავდნენ, რადგან ეშინოდათ, ხალხს ხმები არ გაევრცელებინათ, შავი ჭირიაო) სარკე მიუტანეს ჯინევრას ტუჩებთან და ვერ შეამჩნიეს შუშაზე ამონასუნთქი ორთქლი; მაშინ კი ყველა დარწმუნდა, რომ ჯინევრა მართლა მომკვდარაო, მათ მწუხარებას არ ჰქონდა საზღვარი და ყველანი თანაუგრძნობდნენ ჭირისუფალთ. მეზობლები ამბობდნენ, ღმერთმა დასაჯა ალმიერები, რადგან ასეთ უდროო დროს გაათხოვეს ქალი და ფრანჩესკოს ახალგაზდა მეუღლე ეკლესიიდან სახლში დაბრუნებისასვე შავი ჭირით გახდა ავად და მოკვდა. ასეთმა ხმებმა უფრო მეტი ნიადაგი მაშინ მოიპოვეს, როდესაც „შავ ეშმაკთა“ მოსვლის შიშით უკანასკნელ წუთამდე მალავდნენ ჯინევრას ნათესავნი მის ავადმყოფობასა და სიკვდილს. მაგრამ მეზობელთა დასმენით საღამოს მაინც ესტუმრნენ ზედამხედველნი და წინადადება მისცეს, რომ ან თვითონ დაემარხათ საჩქაროდ, ან მათთვის მიეცათ მიცვალებული დასამარხავად; ხოლო როცა კარგა დიდი ქართამი აიღეს, ნება დართეს, რომ მეორე დღემდე დარჩენილიყო მკვდარი ფრანჩესკოს სახლში.

ჯინევრას სიკვდილში ეჭვი აღარავის შეპარვია, გარდა მოხუცი გამზრდელისა, რომელსაც ყურადღებას არავინ აქცევდა, რადგან ს ბერემ გამოაშტერაო. ყველას ემუდარებოდა დედაბერი, არ დამარხოთ ჯინევრა, ყველას არწმუნებდა, სცდებიან ექიმები, ის არ მომკვდარა, არამედ სძინავსო; ხელი შეახო და იგრძნო, რომ მის მკერდში არ შეჩერებულიყო გულისცემა, კიდევა ჰფეთქდა სუსტად, ვით ფარვანას ფრთა.

ჯინევრას აღარც მეორე დღეს ეტყობოდა სიცოცხლის ნიშან წყალი; სუდარა ჩაცვეს, კუბოში ჩაასვენეს და სანტა რეპარატას ტაძარში გაასვენეს. მშრალი და ტოსკანის აგურით ამოშენებული საგვარეულო აკლდამა ეკლესიის ორ კარებს შუა იყო მოთავსებული, ე. წ. სასაფლაოს ეზოში, აყრილი ალვის ხეებით დაჩრდილული, სადაც ფლორენციის კეთილშობილნი განისვენებდნენ. ზოგიერთთა აზრით, ყასაბის ასულის ღირსებისათვის შეუფერებელ სასაფლაოს ადგილში დიდი ფასი გადიხადა თურმე მათეომ და ეს ფული მზითევიდან გამორიცხა. გამოსვენება დიდი ამბით მოაწყვეს. არა ზოგავდნენ თაფლის სანთელს და თითოეულ ღარიბ-ღატაკს ნახევარი სოლდის ქერი და ზეთისხილი გაუბოძეს განსვენებულის სულის მოსახსენებლად. მიუხედავად სიცივისა და შავი ჭირის მძვინვარებისა, გასვენებაზე მაინც დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი; უცნობნიც კი ვერ იკავებდნენ ცრემლს, როდესაც შეიტყობდნენ ახლად ჯვარდაწერილის უბედურებას და პეტრარკას ნაზ ლექსს იმეორებდნენ:

„სიკვდილიც კი მშვენიერებად მოსჩანდა მის მშვენიერ სახეზე“.

სასაფლაოზე მესერ ფრანჩესკომ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც არამც თუ ლათინური, ბერძნული ციტატებიც კი მოჰყავდა პლატონიდან და ჰომიროსიდან, რაც ახალი რამ იყო იმ დროისთვის და მრავალ მსმენელს, რომელთაც არც კი ესმოდათ ბერძნული, სიამოვნების ღიმილი მოეფინა სახეზე.

არაჩვეულებრივი რამ მხოლოდ მაშინ მოხდა, როდესაც აკლდამაში დაასვენეს უკანასკნელად გამოსათხოვრად. სამგლოვიარო სამოსში გამოწყობილი ახალგაზდა უცნობი მიუახლოვდა კუბოს, გადახადა ლეჩაქის პირბადე და გაშტერებული დაუწყო მზერა მიცვალებულს. სთხოვეს მოშორება, „როგორც უცხოს“, სანამ თავისიანები არ გამოსთხოვებოდნენ. როდესაც გაფითრებულმა გაიგონა, რომ მას „უცხოს“ უწოდებდნენ და ბიძია მათეოსა და მესერ ფრანჩესკოს კი „თავისიანს“, მწარედ ჩაიცინა, ეამბორა ბაგეთა ზედა მიცვალებულს, გადააფარა პირბადე და უჩუმრად მოსცილდა კუბოს. სალხში ჩურჩული ასტყდა, უცნობზე უთითებდნენ და ამბობდნენ, რომ ეს ყმაწვილია მესერ ანტონიო დე-ორნდიელლი, ჯინევრას ყოფილი შეყვარებული და მიჯნური, ვისი გულისთვისაც მოიკლა ქალმა თავიო.

შეღამდა და, რადგან მღვდელმსახურებაც გათავდა, ხალხი დაიშალა. კუბოსთან ღამის გათევა მოისურვა მონნა ურსულამ, მაგრამ

კავკასიის ასპარეზი

ბათომის კომენდანტი ლიახოვი (ჩოხით) მოწინააღმ. პოზიციებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მსახიობები

დ ა

მათი მხსნელი სუფლიორი ბეგლარი.

მეგობრული შარჟი ჰიაურელისა.

მათეო წინაღუდგა, რადგან ძლიერ მწუხარე იყო და მისი სიცოცხლეც არ უნდოდა ჩაეგდო საფრთხეში.

აკლდამაში მხოლოდ დომინიკანილი ბერი ფრამარიანო დარჩა, რომელსაც ლოცვები უნდა ეკითხნა მთელ ღამეს.

რამდენიმე საათმა განვლო; ღამის სიჩუმეში მხოლოდ ბერის ხმა მოისმოდა და „კამპანილლა“ ჯიოტოს სამრეკლოს საათის ყრუ წკარუნი. შუაღამისას წყურვილი იგრძნო ფრა მარიანომ, ამოიღო ჯიბიდან ტრებიანული სამგზავრო წყლის ჭურჭელი და სიამოვნებით მოსვა, და ამ დროს უცებ ოხვრა მოესმა. სული განაბა და ყური დაუგდო; ოხვრა განმეორდა და მოეჩვენა კიდეც, რომ მიცვალებულის სახეზე გადაფარებული ლეჩაქი შეინძრა ოდნავ. ჟრუანტელმა დაურბინა ტანში, ხოლო, რადგან ეს პირველი არ იყო და კარგად იცოდა, რომ მიცვალებულთან დამისთევას მიჩვეულთაც კი ხშირად უცნაური რამ ეჩვენებათ ხოლმე, ამიტომ ყურადღება არ მიუქცევია, გადისახა პირჯვარი და ხრიხწიანი ხმით განაგრძო კითხვა. კიდევ განვლო პაწია დრომ. ბერს ხმა ჩაუწყდა უცებ, სახე დაუგრძელდა, გაქაკვდა და მიცვალებულს მიაშტერა თვალები: ოხვრის ნაცვლად ოდნავი კვნესა აღმოხდა მიცვალებულს; ფრა-მარიანოს ეჭვი აღარ შეპარვია, რადგან ნათლად ხედავდა, რომ მკერდი ადიოდ-დადიოდა ნელ-ნელა და ამოძრავებდა ლეჩაქის პირბადეს, უგი სუნთქავდა. პირჯვრის წერით, აცახცახებული გამოვარდა აკლდამიდან. სუფთა ჰაერზე მოიბრუნა სული და იფიქრა, იქნება მართლა მომეჩვენაო, ნაცნობი სახლი, მიუახლოვდა და კარებზე დაუკაკუნა. ეს იყო ბიძია მათეოს სახლი.

(დასასრული იქნება).

გ. მუმლაძე.

ნებადართულია საცხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩა. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი **დ. ჯორჯაძე.**